პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 30 (5060)

1974 წ. 12 თებერვალი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოთხე გამარჯვება

„სპორტლოტოს“ საქართველოს ზონალურმა სამმართველომ „სპორტლოტოს“ ზონალური სამმართველოების საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში 1973 წლის IV კვარტალის შედეგების მიხედვით პირველი ადგილი დაიკავა. ეს ჩვენი სამმართველოს მეოთხე გამარჯვებაა. თბილისის ჭადრაკის სასახლეში მოეწყო სადამო, სადაც გამარჯვებულ კოლექტივს ამ დიდი წარმატებისთვის საზეიმოდ გადაეცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

სპორტული ლატარიების მთავარი სამმართველოს უფროსმა პ. ჩეკრიეოვმა შეკრებილთ გააცნო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება გამარჯვებულის დაჯილდოების შესახებ. მანვე კოლექტივს გადასცა გარდამავალი წითელი დროშა, ხოლო საუკეთესო მუშაკებს — „1973 წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის“ ნიშნები და მთავარი სამმართველოს საპატიო სიგელები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ბალავაძემ გამარჯვებულ კოლექტივს გადასცა საქართველოს სპორტკომიტეტისა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელი. მანვე „სპორტლოტოს“ საქართველოს ზონალური სამმართველოს მუშაკებს გადასცა „1973 წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის“ ნიშნები და საქრთველოს სპორტკომიტეტის საპატიო სიგელები.

კულტურის მუშაკთა პროფკავშირის თბილისის პირველი ძაბის რაიკომის თავმჯდომარე მ. ურუშაძემ „სპორტლოტოს“ საქართველოს ზონალური სამმართველოს კოლექტივს რაიკომის პრეზიდიუმის საპატიო სიგელი გადასცა.

ამ ზეიმს ესწრებოდა დელეგაცია ფინეთის საავტომობილო საზოგადოება „ვეიკაუსისა“, რომელიც ფინეთში არსებულ ყველა სახეობის ლატარიებს ავრთიანებს. „სპორტლოტოს“ საქართველოს ზონალური სამმართველოს მუშაკებს გამარჯვება გულთბილად მიეულოცა ამ საზოგადოების დირექტორ-განმკარგულებელმა, ფინეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა იუკა უჭუნილამ.

ნ. ლონლაძე.

• • •

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ „1973 წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის“ ნიშნით დაჯილდოვა „სპორტლოტოს“ საქართველოს ზონალური სამმართველოს შემდეგი მუშაკები:

ზარდიაშვილი გ. ი. — სამმართველოს უფროსი;

კალმახელიძე გ. მ. — თბილისის სარაიონთაშორისო სააგენტოს უფროსი;

ჟორდანია ლ. გ. — დამუშავების განყოფილების უფროსი.

სპორტული ლატარიების მთავარი სამმართველოს საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ:

ეგოროვი ბ. ბ. — უფროსი ინსტრუქტორი;

კობლიანიძე ს. რ. — უფროსი ინსტრუქტორი;

ლეჟავა მ. ვ. — უფროსი ინსტრუქტორი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა „1973 წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის“ ნიშნით დაჯილდოვა:

ავეტისოვი ე. ვ. — „სპორტლოტოს“ საქართველოს ზონალური სამმართველოს უფროსის მოადგილე;

კობლიანიძე ც. რ. — დამუშავების განყოფილების აღმრიცხველი;

მარგიევი ნ. ა. — დამუშავების განყოფილების აღმრიცხველი;

ნინიკაშვილი მ. შ. — კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი;

ტეკაევი ბ. ი. — სამმართველოს უფროსის მოადგილე;

შეყრილაძე ა. გ. — პარტორგანიზაციის მდივანი;

შილაკაძე კ. ჯ. — რუსთავის საგენტოს უფროსი ინსტრუქტორი;

ჯავახიშვილი შ. ნ. — ადგილკომის თავმჯდომარე.

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ — ᲔᲠᲗ ᲗᲕᲔᲨᲘ

თბილისის კამოლური დართვის ფაბრიკის ფიზკულტურული კოლექტივი ერთ-ერთი მოწინავეა რესპუბლიკაში. ამ კოლექტივმა მარშან პირნათლად შეასრულა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმის ყველა ძირითადი მაჩვენებელი.

ფაბრიკის ფიზკულტურულ კოლექტივს არც წლეულს შეუნელებია მუშაობის ტემპი და 1 თებერვლისთვის გადაჭარბებით შეასრულა საზოგადოების წევრთა ზრდის წლიური გეგმა. ახლა „განთიადის“ წევრია ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 45 პროცენტი.

ასევე გადაჭარბებით შესრულდა მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის საწევრო შესატანების გადახდის გეგმა.

„განთიადის“ ცენტრალურმა საბჭომ საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე ლ. არაშიძეს, ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე ე. კაკაბაძეს და საწარმოო ტანვარჯიშის ინსტრუქტორ-მეთოდისტ რ. ბარაბაძეს გამოუცხადა მადლობა და დაჯილდოვა ცენტრალური საბჭოს სიგელებით. ბარაბაძე დაჯილდოებულია ფასიანი საჩუქრითაც.

ტ. კიკნაველიძე,
„განთიადის“ ცენტრალური საბჭოს საორგანიზაციო მუშაობისა და კადრების განყოფილების გამგე.

ᲖᲘᲠᲘᲥᲘᲒᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

10 თებერვალს მოსკოვში მოეწყო „სპორტლოტოს“ და „სპორტლოტო-2“-ის მორიგი ტირაჟები, სადაც იღბლიანი გამოდგა შემდეგი ციფრები და სპორტის სახეობები:

სპორტლოტო. 3 (აკრობატიკა), 12 (საწყლოსნო-სამოტორო სპორტი), 28 (მაგიდის ჩოგბურთი), 37 (სროლა), 46 (ჰოკეი), 49 (შაში).

სპორტლოტო-2. 3 (აკრობატიკა), 5 (ბადმინტონი), 19 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 21 (ცხენოსნობა), 24 (თხილამურები), 28 (მაგიდის ჩოგბურთი).

ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐ „ᲣᲮᲔᲠᲮᲣᲚ“ ᲛᲔᲢᲝᲥᲔᲖᲔ

თბილისი. სპორტის სასახლე. 9 თებერვალი.

„დინამო“ (თბილისი) — რტი (მინსკი) 64:57 (30:25).

„დინამო“: ბიჭიაშვილი (18), ქორქია (17), ჩიხლაძე (17), ძიძიგური (5), საკანდელიძე (8), პულავსკი (2), ბოლქვაძე (1), ჩხიკვაძე (1).

რტი: შუშკინი (20), კრისევიჩი (15), ბელიკოვი (8), პოპკოვი (5), კოვალიოვი (4), გუზიკი (3), კრასნიცკი (2), ლადუტკო (2), არტიომენკო.

მსაჯები: ა. კოკარევი (მოსკოვი) და ვ. შამისი (ლენინგრადი).

დუბლიორები — 52:50 (28:16).

რატომ აქვს მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის კოლექტივს „უხერხული“ მეტოქის სახელი? რატომაა, რომ მინსკელთა წინააღმდეგ თამაში ტრადიციულად უჭირთ მოწინავე საბჭოთა გუნდებს, მათ შორის მოსკოვისა და თბილისის დინამოელებს? რაა მიზეზი, რომ ეს „უხერხული“ გუნდი, თავისი შინაგანი პოტენციის მიუხედავად, მეტწილად აუტსაიდერთა შორისაა, ხშირად ტოვებს უმაღლეს ლიგას და შემდეგ შედარებით ადვილად უბრუნდება მას?

რტი მართლაც თავისებური გუნდია, ყველასგან განსხვავებული, მაგრამ ერთობ ცალმხრივი. რაში მდგომარეობს მისი ცალმხრივობა და რატომაა იგი ყველასგან განსხვავებული?

მინსკელი კალათბურთელებისთვის დამახასიათებელია თამაშის უაღრესად რაციონალური სტილი. გუნდი ბევრს მოძრაობს, გამუდმებით იბრძვის, შესანიშნავად ფლობს საშუალო და გრძელი მანძილებიდან სროლის ტექნიკას. რტი-ს აქვს დაცვის სწორი და ეფექტური ტაქტიკა და შეტევებსაც მუდამ გარკვეული სქემის მიხედვით ავითარებს. მაგრამ ყველასგან განსხვავებული და ზედმეტად ცალმხრივი იგი სწორედ იმიტომაა, რომ შეტევის ყველა ფაზაში მუდამ თავისი ნაცადი ტაქტიკის ერთგულია.

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მინსკელთა თამაში კარგად დაზეპირებულ გაკვეთილს ჰგავს: არავითარი გადახრა სქემიდან, არავითარი ინიციატივა და ყველაზე ნაკლებად — იმპროვიზაცია. რა კონკრეტულ სიტუაციაშიც უნდა მოხვდეს გუნდი, მისი თამაშის სტილი წინასწარაა ცნობილი მეტოქისთვის.

შეიძლება კი ასეთი „ორთოდოქსული“ გუნდი ვინმესთვის „უხერხული“ მეტოქე იყოს? რა თქმა უნდა, შეიძლება, თუ მას გეგმის განხორციელების საშუალება მიეცი, თუ არ ამოაგდე ჩვეული კალაპოტიდან და მისთვის არასასურველ ლიანდაგებზე არ გადაიყვანე.

რტი-ს არ უყვარს სწრაფი შეტევით თამაში. სწრაფი იერიშის დროს ხშირად იქმნება არასტანდარტული სიტუაციები, რომლებშიც თავისთავად, წინა პლანზე გამოდის ყოველი მოთამაშის ინიციატივა. ეს კი მინსკის გუნდისთვის უცხოა და ამიტომაც ცდილობს იგი თამაში ზედმეტი კონფლიქტების გარეშე წარმართოს.

თბილისის „დინამო“ კი, პირიქით, სტანდარტული სიტუაციების მტერია. დინამოელებისთვის თამაშის არსი ინიციატივასა და იმპროვიზაციაში მდგომარეობს. ისინი თავის სტიქიაში არიან, როცა უტევენ სწრაფად, აზარტულად, შთაგონებით. მაგრამ არის ერთი მომენტები, როცა სწრაფი შეტევის ნაცვლად თბილისელები რატომღაც პოზიციურ თამაშს არჩევენ. აი სწორედ მაშინ იქცევა მინსკის რტი „უხერხულ“ მეტოქედ, დაუძლეველ დაბრკოლებად.

ამ მატჩში მე-16 წუთამდე წინ სტუმრები იყვნენ. დებიუტი „დინამოს“ ისე გაითამაშა, როგორც ხელს აძლევდა მეტოქეს. რტი-მ საკვანძო ადგილები დაიკავა თბილისელთა ფარის მისადგომებთან და დაიწყო კალათის პოზიციური შტურმი. ამ მომენტში დინამოელთაგან ყველაზე მეტად აგრესიული ჩიხლაძე იყო (საერთოდ, მან ეს თამაში უნაკლოდ ჩაატარა და კარგადაც გაართვა თავი ორგანიზატორის ფუნქციებს); ისიც შორი მანძილიდან უნაკლო სროლის წყალობით. „დინამო“ დიდხანს, მთელი 15 წუთის მანძილზე ინერციით მიჰყვებოდა მოვლენათა მსვლელობას და მხოლოდ ამის შედეგ მოვიდა გონს.

რამდენიმე სწრაფმა შეტევამ შეარყია რტი-ს რწმენა და მთლიანად შეცვალა მისი ტაქტიკური ნახაზი. ამ მომენტიდან მოყოლებული მატჩის დამთავრებამდე „დინამოს“ ხელიდან არ გაუშვია ინიციატივა. სტუმრების მთელი თამაში მიმართული იყო იქითკენ, რომ როგორმე ტემპიდან ამოეგდოთ მეტოქე. ისინი ხანგრძლივად ათამაშებდნენ ბურთს, ბოლომდე იყენებდნენ 30 წამის უფლებას, მაგრამ დინამოელთა რიტმის შეცვლა ვერ შეძლეს და დამარცხდნენ.

რტი ამის გამო მუდამ ისჯება. მან ან მთლიანად უნდა მოახვიოს საკუთარი ტაქტიკური „ჩანაფიქრი მეტოქეს თავს და მაშინ სასურველი მიზანიც მიღწეულია, ან ფარ-ხმალი უნდა დაყაროს და ბედს შეურიგდეს. თამაშის სტილის შეცვლა მას არ შეუძლია. ესაა მისი სისუსტეც და ერთობ საეჭვო სიძლიერეც. მაგრამ ვიმეორებ, მინსკის გუნდს წარმატებაში მუდამ უნდა დაეხმაროს მეტოქე. სხვა მხრივ მოგებისთვის საჭირო გზებს იგი ვერ პოულობს, ვერ იჩენს ინიციატივას, ვერ ართმევს თავს წმინდა შემოქმედებითს ნიუანსებს.

მაგრამ რტი-ს წინააღმდეგ ბრძოლასაც ცოდნა უნდა. და ის, ვინც ამ ცოდნითაა შეიარაღებული, მუდამ ადვილად ამსხვრევს ლეგენდას „უხერხულ“ გუნდზე.

ნ. გუგუშვილი.

• • •

სურათზე: მომენტი განვლილი მატჩიდან.

მ. ზარგარიანის ფოტო.



ᲡᲮᲕᲐ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

როგორც იქნა, განახლდა საკავშირო ჩემპიონატის მესამე წრის მატჩები. გამოტოვებული 6 შეხვედრის ბედი ჯერ არ ვიცით, ალბათ უახლოეს დღეებში გაირკვევა მათი ჩატარების თარიღები. 10 თებერვალს კი კიევსა და რიგაში ჩატარდა კალენდრით გათვალისწინებული ორი შეხვედრა.

კიევი. ძველი მეტოქეებისა და თანაქალაქელების — „სტროიტელისა“ და ასკ-ს შეხვედრა ტრადიციულად მძაფრი და შეუპოვარი იყო. არმიელთა პერსპექტივა ერთობ არასახარბიელოა. შარშან ისინი ძლივს გადაურჩნენ ბიფათს, წლეულს კი ისევ ემუქრებათ საფრთხე.

ამიტომაც არმიელებმა თავგამოდებით ითამაშეს. შეხვედრის ბედი ზედ ფინიშზე გადაწყდა. გაიმარჯვა „სტროიტელმა“ — 80:77.

რიგა. ადგილობრივმა არმიელებმა ტარტუს „კალევს“ უმასპინძლეს. ბრძოლა აქაც ერთობ შეუპოვარი იყო, მაგრამ ესტონელებმა ქულა მაინც აართვეს მეტოქეს — 86:80.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მდგომარეობა 11 თებერვლისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	13	12	1	1191—1012	12
„სპარტაკი“	13	11	2	963—837	11
„კალევი“	14	9	5	1101—1023	9
„სტროიტ.“	14	8	6	1156—1098	8
„დინ“ (მ.)	13	7	6	1029—1018	7
„დინამო“ (თბილისი)	15	7	8	1140—1160	7
რტი	14	5	9	981—1106	5
ასკ (რიგა)	15	4	11	1119—1258	4
ასკ (კიევი)	14	3	11	1023—1151	3
„ჟალგირ.“	13	3	10	958—998	3

ᲕᲣᲚᲝᲪᲐᲕᲗ!

მრავალი წლის მანძილზე აქტიური, უნაკლო მსაჯობისა და ორგანიზატორულ-მეთოდიური მუშაობისთვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა სპორტის საპატიო მსაჯის წოდება მიანიჭა

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ტურიზმის, ალპინიზმისა და სათხილამურო სპორტის კათედრის გამგეს ლ. ბ. ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔᲡ.

ფიზკულტურასა და სპორტში ახალი წარმატებებით ვუპასუხოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას

პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი!

სიტყვას საქმედ აქცევენ

„1974 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას განმსაზღვრელი მნიშვნელობა ექნება არა მარტო ამ ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისთვის, არამედ დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯიც გახდება მომავალ ხუთწლეულში ეკონომიური პოტენციალის შემდგომი ზრდისა და ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლების მტკიცე საფუძვლის შექმნის გზაზე“.

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი).

ამ თერმეტი წლის წინათ თბილისის დინამოვის სახელობის საავიაციო ქარხნის ფიზკულტურულ კოლექტივს ჩვენს რესპუბლიკაში ერთ-ერთ პირველთაგანს მიენიჭა სპორტული კლუბის სატიტო წოდება. ეს უკვე თავისთავად დიდი გამარჯვება იყო. მაგრამ აბა შეადარეთ მაშინდელი და ახლანდელი სტატისტიკა: ესაა წინსვლის გიგანტური ნაბიჯები. უფრო კონკრეტულად, ესაა მაღალი ჩოთხოვნების შესაფერისი სპორტული ბაზები, ესაა საზოგადოების წევრების, ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების, საზოგადოებრივი მუშაკებისა და სპორტული სექციების რიცხვის განუხრელი ზრდა. ფიზიკური კულტურა და სპორტის მშრომელებში მასობრივად დანერგვა კეთილმყოფელ გავლენას ახდენს საწარმოო მაჩვენებლებზე. მაგალითისთვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება. მარტო შარშან შარშანწინდელთან შედარებით 15,9 პროცენტით გაიზარდა საერთო პროდუქციის წარმოება, აქედან სახალხო მოხმარების საგნებისა — 12,7 პროცენტით. შრომისნაყოფიერება ამაღლდა 12,9 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება ზეგეგმით 1,47 პროცენტით შემცირდა.

მოპოვებული წარმატებები, როგორც ეს მოწონავეთ სჩვევიათ, ახალი ზღუდეების დაძლევის მტკიცე რწმენას იძლევა. ამიტომაც იყო, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის საპასუხოდ კოლექტივმა ახალი, გაზრდილი ვალდებულებები იკისრა: შარშანდელთან შედარებით წლეულს 40 პროცენტით გაიზრდება მასობრივი მოხმარების საგნების წარმოება; საერთო პროდუქციის გაზრდის სახელმწიფო გეგმა შესრულდება 27 დეკემბრისთვის; შრომისნაყოფიერება ამაღლდება 4,5 პროცენტით; ხუთწლედის განმსაზღვრელ წელს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა წინადადებების დანერგვით სახელმწიფო მიიღებს 420.000 მანეთის ეკონომიას, დაიზოგება დიდძალი ელექტროენერგია, სათბობი, შავი და ფერადი ლითონი...

ეს მშრალი ციფრები როდია. ამ ვალდებულებებში კოლექტივის შემარჯობა და ერთსულოვნებაა ჩაქსოვილი.

— ახალ ვალდებულებათა დროულად და გადაჭარბებით შესრულებისგის ჩვენ ორმაგი მუშაობა დაგვჭირდება: ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივად დანერგვით უფრო მეტად უნდა ავამაღლოთ ავიამშენებელთა შრომითი აქტივობა, თანაც ახალი წარმატებებით გავაღრმაოთ სპორტული ტრადიციები, — ამბობს ქარხნის სპორტკლუბ „ვანინიადის“ თავმჯდომარე უ. შეფარდნაძე.

ავიამშენებელ ფიზკულტურელთა თავკაცმა სიამოვნებით გაგვაცხო სპორტკლუბის ახალი სოციალისტური ვალდებულებები. წლეულს კოლექტივში უნდა მომზადდეს 7 სპორტის ოსტატი, 5 ოსტატობის კანდიდატი და 40 პირველთანრიგოსანი, მასობრივი თანრიგების ნორმატივებს შეასრულებს 740 ფიზკულტურელი, მომზადდება 80 საზოგადოებრივი მუშაკი და 340 მშდ კომპლექსის ნიშნოსანი. აღსანიშნავია, რომ ეს ვალდებულებები კოლექტივმა 20 დეკემბრისთვის უნდა შეასრულოს.

ქარხნის მშრომელებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს გორკელი კოლეგები და ქუთაისელი ავტომშენებლები. ამას გარდა, წლეულს უფრო ფართოდ გაიშლება სოციალისტური შეჯიბრება თვით საამქროების ფიზკულტურულ კოლექტივებს შორისაც.

როგორც საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ მ. ბრონშტეინმა გვითხრა, ფიზკულტურელები და სპორტსმენები შრომაშიც მოწინავენი არიან. ბევრი მათგანი კომუნისტური შრომის დამკვრელია. მაგალითად, სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის შტაბში დაგვისახელეს სპორტის ოსტატი ძალოსნობაში ტ. კელდიშვილი, სპორტის ოსტატობის კანდიდატები ნ. მიქაძე, თ. ბერუაშვილი და მძლეოსანი ი. პუტილცევი, კალათბურთელები ა. ხორავა და ჯ. ზენიძე, ხელბურთელები რ. გიორგაძე და თ. დრიაევი, ფრენბურთელი ე. ოდინცოვი და სხვები. ეს სპორტსმენები ყოველდღიურ საწარმოო გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ და ზოგერთი უკვე მომავალი ხუთწლედის ანგარიშშიც მუშაობს. შრომასა და სპორტში მოპოვებულ წარმატებებზე ნათლად მეტყველებს ქარხნის დიდების მუზეუმში გამოფენილი მასალები. არის რაღაც ამაღელვებელი და დაუგიწყარი იმაშიც, რომ ყოველი ახალგაზრდა მუშა ავიაქარხნელებთან გაცნობა-დამეგობრებას სწორედ ამ მუზეუმის დათვალიერებით იწყებს.

სახელოვანი კოლექტივი შესანიშნავი სპორტული ბაზებითაც ამაყობს. ქარხნის თავკაცებს მშრომელების, მათი შვილების ფიზიკური სიჯანსაღისთვის ზრუნვა (სხვათა შორის, სპორტკლუბს ბავშვთა სპორტსკოლაც აქვს) თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ. ხელმძღვანელობა სახსრებს არ იშურებს სპორტული ობიექტების ასაგებად, არსებული ბაზების მოსავლელად. ამან ხელი შეუწყო ქარხანაში ახალგაზრდობის მიზიდვას, იკლო კადრების დენადობამ.

შარშანდელ სოციალისტურ შეჯიბრეობაში გამარჯვებულთა შეკრებაზე, რომელიც ქარხანაში ამას წინათ გაიმართა, პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის საპასუხოდ დიმიტროველმა საუბარი ამ ფიცი, რომ პირნათლად შეასრულებენ პარტიის მითითებებს.

— ჩვენი ფიცი — დიმიტროველ ავიამშენებელთა ფიცი — ფოლადივით მტკიცეა. პირობას შევასრულებთ, — ამბობენ ავიამშენებლები.

ჩვენ გვჯერა, რომ საწარმოს მოწინავე მშრომელთა შორის ფიზკულტურელები და სპორტსმენებიც იქნებიან.

ი. კალანდარიშვილი,
თ. გაჩეჩილაძე.

ფრენბურთი უფრო საინტერესო იქნება

ამას წინათ პარიზში ჩატარდა ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ფივბი) აღმასკომის სხდომა, სადაც სსრ კავშირის ფედერაციამ ოფიციალურად განაცხადა 1978 წელს ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილი.

— კიდევ რა საკითხები განიხილა აღმასკომის სხდომამ და რა სიახლეა საერთოდ ფრენბურთის სამყაროში? — საკდესის კორესპონდენტმა ა. ბორბშნიმმა ამ შეკითხვით მიმართა სსრ კავშირის ფრენბურთის ფედერაციის თავმჯდომარეს და ფივბის ვიცე-პრეზიდენტს ვ. სავინს.

— სხდომაზე ლაპარაკი იყო ქალთა და ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატებზე, რომლებიც წლეულს 12-27 ოქტომბერს უნდა ჩატარდეს მექსიკაში. — თქვა ვ. სავინმა. — შეჯიბრებები მოეწყობა მექსიკის ექვს ქალაქში. სარბიელზე გამოვა ყველა კონტინენტის ქალთა და ვაჟთა 24-24 გუნდი.

წინასწარ ქვეჯგუფებში ექვს-ექვსი ნაკრები უნდა შევიდეს, მაგრამ მათგან ჯერჯერობით დასახელებულია მხოლოდ ორ-ორი გუნდი. სსრ კავშირის ქალთა ნაკრები ტურნირს მეხიკოში დაიწყებს გდრ-ის ფრენბურთელებთან მატჩით, ხოლო ვაჟთა გუნდი ტოლუკაში პოლონელებს შეხვდება. დანარჩენ მეტოქეებს 16 მაისს კენჭისყრა დაასახელებს.

მექსიკის ჩემპიონატის დღეებში მოეწყობა ფივბის კონგრესი. იქ ყურადღება ძირითადად გამახვილდება წესებში შეტანილ ცვლილებებზე.

მოგაგონებთ, რომ რამდენიმე ხნის წინათ საერთაშორისო ფედერაციამ ერთეულ ფედერაციებს შესთავაზა ექსპერიმენტია სახით ჩაეტარებინათ შეჯიბრებები ახალი წესების გათვალისწინებით. მაგალითად, სიახლეა ის, რომ ბურთზე შეხება მეტოქის მხარეზე შეხლუდული არ არის. ამით შესაძლებელი ხდება გადაცემის ჩაშლა და ვერტიკალური „ანტენების“ არევა ბადესთან. ამას გარდა, გუნდებს ბლოკირების შემდეგ ბურთზე სამი შეხების უფლება აქვთ.

ჩვენ ახალი წესებით ჩავატარეთ საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება, საერთაშორისო ტურნირი უნივერსიადის დაწყებამდე, ამსანაგური შეხვედრები იაპონელებთან. ცდების შედეგები საერთაშორისო ფედერაციას ვაცნობეთ. ფივბის ადმინისტრაციულმა საბჭომ პირველი წინადადება არ მოიწონა, ხოლო ორ დანარჩენს კონგრესზე განიხილავს. არ დავმალავ, რომ ჩვენ წინააღმდეგი ვართ „ანტენების“ გადანაცვლებისა, ვინაიდან ამით მოვდნის სათამაშო ნაწილი მცირდება, ხოლო „იერიშის ფრონტი“ თითქმის ნახევარი მეტრით ვიწროვდება.

რაც შეეხება ბოლო პუნქტს, მას ჩვენი ფედერაცია მხარს უჭერს. და არა მარტო ჩვენი ფედერაცია. ამ წინადადების განხორციელებით დაცვაც შესაბამისად გააქტიურდება და თავდამსხმელებიც იძულებული გახდებიან მოძებნონ იერიშის ახალი ფორმები, კომბინაციები „მასირებული“ დაცვის დასაძლევად. ექსპერიმენტებმა ისიც გვიჩვენა, რომ ფრენბურთი უფრო საინტერესო გახდება. ახალი წესებით თამაშის დროს ბურთი საგრძნობლად მეტ ხანს იქნება ჩართული ბრძოლაში. ამას გარდა, ბლოკის შემდეგ ბურთის გათამაშება იერიშით დამთავრდება.

საინტერესოა, რომ საბჭოთა კავშირის ვაჟთა ბოლო პირველობის მოსკოვისა და ალმა-ათის ტურების დროს საკდესის კორესპონდენტებმა ფრენბურთელებს მიმართეს ერთი შეკითხვით: „რა შეგიძლიათ თქვათ ამ ექსპერიმენტზე?“ სპორტსმენთა შეხედულება ერთსულოვანი იყო. „ვერტიკალური „ანტენების“ არევის შემთხვევაში თავდამსხმელებს კომბინირების ნაკლები შესაძლებლობა ექნებათ“, — თქვეს როსტოვის არმიელთა კაპიტანმა მ. ლოპატინმა, მისმა კოლეგამ რიგის „რადიოტექნიკიდან“ ო. ანტროპოვმა, ალმა-ათის „დოროჟნიკის“ მოთამაშემ ნ. რაგოზინმა, დედაქალაქის „დინამოს“ წევრმა ო. სოლოდუხოვმა. ფრენბურთელებმა ასევე კატეგორიულად გამოთქვეს აზრი მეტოქის მხარეზე ბურთზე შეუხლუდავი შეხების თაობაზე. სოლოდუხოვმა, მაგალითად, რომელიც ტანად 201 სანტიმეტრია, თქვა: „საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების მალური ბრძოლა მინასიანმაც (90 კგ). სამაგიეროდ, დამარცხდნენ მაჩაიძე და მაისურაძე (მძიმე). სალაძის (100 კგ) ფრეს მდგომარეობა არ შეუცვლია, მითუმეტეს, რომ თბილისელებს მონაწილე არც 82 კგ წონითს კატეგორიაში ჰყავდათ.

როგორც ხედავთ, თასის მფლობელს არ მიეცა თავისი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის საშუალება. თბილისელებმა განსაკუთრებით მძიმე დანაკლისი განიცადეს ზაპოროჟიეს გუნდთან შეხვედრაში. ტრავმის გამო ასპარეზობას გამოეთიშნენ გამოცდილი სპორტსმენები ლეკვეიშვილი და ლეჟავა. ამან გადაწყვიტა კიდეც ბრძოლის საბოლოო ბედი.

ადგილები ამ ტურნირში ასე განაწილდა: 1. კიევი, 2. თბილისი, 3. ულიანოვსკი, 4 კიროვი.

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის წლევანდელ გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს კიევის „დინამო“.

ლ. სმირნოვი.

ახალ იარალზე ასპარეზობის მოლოდინში.

ტ. ნაყოვის ფოტო.

თასის მფლობელი ბრძოლას გამოეთიშა

ლვოვი, 10 თებერვალი. გუშინ აქ დამთავრდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს თასის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში. ამ ასპარეზობის მიზანი ჭიდაობის მოყვარულებმა კარგად იციან: შეჯიბრებას უნდა დაესახელებინა უძლიერესი კოლექტივი, რომელსაც ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში მოუწევს გამოსვლა.

შარშან სპატიო ჯილდო თბილისელებმა მოიგეს. ისინი ფავორიტებად ითვლებოდნენ წლეულსაც, მაგრამ ზოგიერთმა გაუთვალისწინებელმა დაბრკოლებამ გამარჯვების სასწორი კიევის დინამოელთა მხარეს გადახარა.

თბილისელებმა კარგად დაიწყეს ტურნირი და ხელიხელ რამდენიმე გამარჯვება მოიპოვეს. მაგალითად, მათ დაამარცხეს ულიანოვსკის გუნდი — 27:16, ტიუმენის მოჭიდავეები — 31:6, ხოლო მერე კიევი 3 შეხვედრა მოიგეს ზაპოროჟიეს (26:8), ალმა-ათისა (21:18) და კიროვის (18:16) მოჭიდავეებთან.

გადამწყვეტი ბრძოლა საპატიო პრიზის შარშანდელ მფლობელს კიევის დინამოელებთან ჰქონდა, მაგრამ მანამდე გუნდის შემადგენლობა რამდენადმე შეიცვალა. გუნდის წევრთა მოულოდნელმა ტრავმებმა მწვრთნელი გ. დათიაშვილი აიძულა ძალთა ერთგვარი გადაჯგუფება მოეხდინა, რამაც ხელი შეუწყო უკრაინელ მოუიდავეთა გამარჯვებას.

48 კგ წონითს კატეგორიაში თბილისელებმა მონაწილე ვერ გამოიყვანეს. მომდევნო წონებში კი დამარცხდნენ კოლუაშვილი, ბლაგიძე და აბრამიშვილი. 68 კგ წონითს კატეგორიაში, როგორც მოსალოდნელი იყო, ივარგა მეგრელიშვილმა, მოიგო თავისი ფინალური ბრძოლა

ARCHIVE
http://Archivebeta.Sakdrive.org

წარმატებული გაგრძელება

რანიკუ — ჩიბურდანიძე 2:1

მოსკოვი, 10 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ ქალთა საკავშირო თასის გათამაშების ფინალურ მატჩში მ. რანიკუსა (ტალინი) და მ. ჩიბურდანიძეს (თბილისი) შორის II პარტია მოეწყო.

რომელიც ფრანგული დაცვა აირჩია და მალე უარესი პოზიცია მიიღო. ჩიბურდანიძეს მეთოდური თამაშით უნდა განემტკიცებინა ინიციატივა, რათა მოგების წინაპირობა შეექმნა, მაგრამ აჩქარდა და იმის იმედით, რომ მეტოქის მეფის ფრთას დაარბევდა, მე-19 სვლაზე ხარისხი შესწირა. ესტონელმა ოსტატმა ეტლი აიყვანა და მუქარის მოგერიებას მოთმინებით შეუდგა.

შემდგომ ბრძოლაში ნორჩი ოსტატი მაინცდამაინც ზუსტად ვერ თამაშობდა. რანიკუმ თავი დააღწია სიძნელეებს და ინიციატივასაც დაეუფლა. თანდათან მისი უპირატესობა გამოიკვეთა.

ხუთსაათიანი თამაშის შემდეგ პარტია გადაიდო. ამ დილით მაიამოდ შეეცადა მდგომარეობის გამოსწორებას.

საღამოს მეტოქენი კვლავ მიუსხდნენ დაფას III პარტიის სათამაშოდ.

რანიკუმ ფსიქოლოგიური მოსაზრებით ბერდის დაცვა გაითამაშა, რათა თავიდანვე ინიციატივა ხელში ჩაეგდო. ჩიბურდანიძემ ლოგიკურად გაითამაშა დასაწყისი, მაგრამ მე-10 სვლაზე კუს გაცვლა ზედმეტად იჩქარა.

საკმარისი იყო, რანიკუს დაეყოვნება მე-17 სვლაზე, რომ თბილისელმა მოჭადრაკემ ცენტრში საინტერესო მუქარა შექმნა, სწორი იქნებოდა, მე-20 სვლაზე ჩიბურდანიძეს მხედრით ც3 პაიკი რომ აეყვანა. მერეც, 28-ე სვლაზე, ხარისხის მოგების ნაცვლად საჭირო იყო შავუჭრელოვან კუთა გაცვლის შეთავაზება. მაგრამ მაია ასე არ მოქცეულა და თამაშის სადავეებს ესტონელი ოსტატი დაეუფლა. მართალია, ჩიბურდანიძემ მერე ხარისხი დააბრუნა, მაგრამ პოზიციას ველარ უშველა. რანიკუს ზედმეტი პაიკი დარჩა და ენდშპილში თამაშის ბედიც მან გადაწყვიტა.

გთავაზობთ მატჩის II და III პარტიებს.

ჩიბურდანიძე — რანიკუ

ფრანგული დაცვა

1. e4 e6 2. d4 d5 3. მd2 მc6 4. მgf3 მf6 5. e5 მe4 6. კd3 f5 7. ef მ:f6 8. 0—0 კd6 9. c3 0—0 10. ეe1 კd7 11. მe5 კe8 12. მdf3 კh5 13. ლc2 h6 14. h3 კ:e5 15. მ:e5 მ:e5 16. ე:e5 კf7 17. კf4 c5 18. ლd2 მd7.



19. კ:h6 მ:e5 20. de ლh4 21. კg5 ლh5 22. ეe1 კg6 23. კe2 ლh7 24. კe7 ეfc8 25. ლe3 b6 26. კa6 ეc7 27. კd6 ეf7 28. b3 ლh4 29. ეd1 კe4 30. ეd2 g5 31. f3 ლg3 32. ეf2 მფg7 33. ლe2 კf5 34. მფf1 ეh8 35. მფe1 ეh4 36. კb5 d4 37. cd ე:d4 38. ლb2 კd3 39. კd3 ე:d3 40. მფe2 ეd5 41. მფf1 ლf4 42. ეe2 ეd1+ 43. ეe1 ეd2 44. ლc3 ე:a2 45. ეe2 ე:e2 46. მფ:e2 ლg3 47. მფf1 ეf4 48. კe7 (პარტია აქ გადაიდო) 48. ... ეd4 49. კf6+ მფh6 50. ლc2 ლf4 51. მფe2 a5 52. ლa2 ლf5 53. ლb2 ლd3+ 54. მფf2 ლd2+ 55. ლ:d2 ე:d2+. თეთრები დანებდნენ.

რანიკუ — ჩიბურდანიძე

ბერდის დაცვა

1. f4 d5 2. b3 მf6 3. მf3 d4 4. კb2 c5 5. g3 მc6 6. კg2 g6 7. მa3 კg7 8. მc4 0—0 9. 0—0 კe6 10. a4 კ:c4 11. bc მa5 12. d3 მc6 13. კc1 ლc7 14. ეb1 ეac8 15. e4 de 16. კ:e3 b6 17. h3 მh5 18. კf2 e5 19. f5 e4 20. მg5 e3 21. კ:e3 მ:g3 22. fg hg 23. ლg4 მ:f1 24. ე:f1 მe5 25. ლh4 ეe8 26. კd5 ეcd8 27. კf4 ეd7 28. მ:f7 ე:d5 29. მg5 კf6 30. cd ლg7 31. ლg3 კ:g5 32. კ:g5 მd7 33. ლg4 ეe5 34. d6 ეe8 35. კe7 მe5 36. ლe6+ მფh7 37. ეf4 g5 38. ლf5+ მფg8 39. ეe4 მg6 40. ლ:g5 მ:e7 41. ლ:g7+ მფ:g7 42. ე:e7+ ე:e7 43. de მფf7 44. მფf2 a6 45. მფe3 მფ:e7 46. მფe4 მფe6 47. c4. შავები დანებდნენ.

11 თებერვალს, IV პარტია გათამაშდება. თუ ეს პარტია მაიამ მოიგო, ანგარიში გათანაბრდება და დაინიშნება ორი დამატებითი პარტია მოხაფიქრებელი დროის მოკლე კონტროლით (თითოეულ მეტოქეს მთლიანად პარტიისთვის თითო საათი მიეცემა).

მ. შიშოვი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, ოსტატი.

პრეტენდენტთა მატჩები

მეკინგი — კორჩნოი 1:2

ოგასტა (აშშ). მატჩის XII პარტიაში, რომელშიც თეთრებით ბრაზილიელი დიდოსტატი თამაშობდა, ცხარე ბრძოლა გაჩაღდა. ხუთსაათიანი თამაშის შემდეგ პარტია გადაიდო კორჩნოისთვის მძიმე მდგომარეობაში. გუშინწინ კორჩნოიმ პარტია თამაშის განუახლებლად დათმო.

XIII პარტია ოთხშაბათს გათამაშდება.

პეტროსიანი — პორტიში 2:1

პალმა-დე-მალიორკა (ესპანეთი). პეტროსიანის ავადმყოფობის გამო კვირას მატჩის XI პარტია არ შედგა. მეტოქენი სამშაბათს შეხვდებიან ერთმანეთს.

დარჩა სამი ტური

ჩელიაბინსკში დასასრულს უახლოვდება სსრ კავშირის ახალგაზრდა ოსტატთა პირველობა, რომელშიც 16 მოჭადრაკე მონაწილეობს.

12 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან ოსტატი ვ. კუპრეიჩიკი (მინსკი) — 8,5 ქულა, ოსტატი ს. პალატნიკი (ოდესა) — 8, სსრ კავშირის თასის მფლობელი, საერთაშორისო ოსტატი ო. რომანიშინი (ლვოვი) — 7,5, ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი ა. ბელიავსკი (ლვოვი) და ოსტატი ჯ. უბილავა (თბილისი) — 6,5-6,5.

სათამაშო დარჩა სამი ტური. უბილავას მეტოქეები იქნებიან ოსტატები ა. მაჩულსკი (ხარკოვი), ა. მიხალჩიშინი (ლვოვი), და პალატნიკი.





ნაკრების მომზადების კერა

საბჭოთა კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადისთვის სამზადისმა ბაკურიანს თითქოს ეშხი და ლაზათი შემატა.

მართალია ამ ლამაზ კურორტს არც მანამდე აკლდა სტუმრები. მაგალითად, მორბენლებმა და ორჭიდელებმა სწორედ აქ გაინაწილეს მსოფლიო ჩემპიონატის საგზურები და წავიდნენ. შემდეგ მათი ადგილი ბიატლონისტთა საკავშირო ნაკრების წევრებმა და იუნიორმა მორბენლებმა დაიკავეს. პირველნი მინსკის მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადებიან, მეორენი — ევროპის პირველობისთვის, რომელიც საფრანგეთში გაიმართება.

... „ლელოს" პრიზისთვის მოასპარეზე სამთომთხილამურეები კოხტაგორა პირველის წვერზე ასე ადიოდნენ (სურათი მარცხნივ) და ფინიშისკენ თავბრუდამხვევი სისწრაფით ეშვებოდნენ. საკავშირო თასის გათამაშების ამ ეტაპზე სპეციალურ ხლალომში ბადალი არ ჰყავდა თბილისელ სპორტის ოსტატს რ. აკოფოვს. მეორე სურათზე სწორედ მისი დაშვების მომენტია აღბეჭდილი.

ყველაზე მძიმე ბრძოლა მაინც ორჭიდელებს გადახდათ. ძნელია ერთდროულად „მფრინავი მოთხილამურეც" იყო და კარგი მორბენალიც, მაგრამ სიამოვნებაც სწორედ ამ სიძნელის დაძლევაშია. ორჭიდელები მუდამ მზად არიან ასეთი (იხ. მესამე ფოტო) აღმართების გადალახვისთვის, თუნდაც საამისოდ ძალის უკანასკნელი მარაგის დახარჯვა დასჭირდეთ.

მაგრამ ბაკურიანში გამართული პირველი ციკლის შეჯიბრებების გმირი მაინც ცნობილი მოსკოველი სპორტსმენი, მსოფლიო ჩემპიონი ფ. სიმაშოვი იყო. 50 კილომეტრზე ასპარეზობაში მან ყველა მეტოქე დიდი მანძილით ჩამოიტოვა. ამ სურათზე აღბეჭდილია მომენტი, როცა სიმაშოვი წამმზომებს-ღა ებრძოდა.

თ. გელაშვილის ფოტოები.
(ჩვენი სპეც. კორ.).

წერილი რედაქციას

გულწრფელი მადლობა

ნება მოგვეცით თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადოთ სპორტის ოსტატ იოსებ ნასყიდაშვილს, რომელმაც ამას წინათ ბაკურიანში ექსკურსიაზე ყოფნისას გვიან ღამით გასაჭირში არ მიგვატოვა და დახმარება გაგვიწია მძიმედ დაშავებული ს. ს-ს გადაყვანაში.

ვუსურვებთ იოსებს შემდგომ წარმატებებს მისთვის საყვარელ სამთოსათხილამურო სპორტში და პირად ცხოვრებაში.

რ. ჭანთარია,
ჯგუფის ხელმძღვანელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიკნაძეს ტოლი არ ჰყავდა

ერევანში მიმდინარე იუნიორ მოფარიკაკეთა საკავშირო პირველობაში ბრწყინვალე წარმატება მოიხვეჭა ქართველმა ჭაბუკმა ა. კიკნაძემ. ესპადრონისტთა ფინალში გამარჯვებისთვის საინტერესო ბრძოლა გაიმართა ბ. რომანოვს (რსფსრ), ა. ნიკიშინსა (მოსკოვი) და კიკნაძეს შორის.

გადამწყვეტი გამოდგა კიკნაძე — ნიკიშინის ბრძოლა, რომელიც პირველმა „მშრალი" ანგარიშით მოიგო — 5:0.

PRZEGLĄD SPORTOWY · Sport · SPORTSKE NOVOSTI · Volleysport · Sportowiec · Czerwony Sztandar

ჩემპიონატები, პირველობანი, კიბეები

ინგლისი

გასული კვირის მანძილზე ლიდერმა — „ლიდს იუნაიტედმა" ზედიზედ 2 გამარჯვება მოიპოვა. ოთხშაბათს ლიდსელებმა შინ მოუგეს ლონდონის „არსენალს" — 3:1, ხოლო შაბათს მანჩესტერში — „მანჩესტერ იუნაიტედს" — 2:0. უადრესად დაძაბული იყო მატჩი მანჩესტერში. „მანჩესტერ იუნაიტედი" გთამაშების ცხრილში ბოლო ადგილზეა და შინ გამმაგებით იბრძვის, რათა დარჩეს პირველ ლიგაში. ლიდსელმა ფორვარდებმა ჯონსმა და ჯორდანმა 2 გოლი გაიტანეს და საკუთარი გუნდი ჩემპიონის ტიტულს კიდევ ერთი ნაბიჯით დაუახლოვეს.

აი ლიდერთა სამეული:

	თ.	ბ.	ქ.
„ლიდს იუნაიტედი"	29	51:16	48
„ლივერპული"	28	37:23	39
„ბერნლი"	26	34:30	31

შოტლანდია

უამინდობის გამო შაბათს ჩემპიონატის მატჩების უმრავლესობა არ შემდგარა. „გლაზგო რეინჯერსმა" სტუმრად მოუგო „ისთ ფაიფს" — 3:0, ედინბურგის „ჰიბერნიენმა" ფრედ ითამაშა „ფოლკერკთან" — 0:0.

„სელტიკი" (გლაზგო)	20	56:15	34
„ჰიბერნიენი"	21	44:23	31
„გლაზგო რეინჯერსი"	21	36:19	28

გფრ

მიუნჰენის „ბაიერნმა" სტუმრად მოუგო „ვუპერტალერ შპორტფერაინს" — 4:1, ფრანკფურტის „აინტრასტმა" კი — „ბოხუმს" — 3:1.

„ბაიერნი"	22	45:33	31
„აინტრასტი"	22	44:33	30
„ფორტუნა"	22	45:31	29

იტალია

რომის „ლაციომ" თავის მინდორზე მოუგო ვიჩენცას „ლანეროსის" — 3:0, „ნაპოლიმ", აგრეთვე შინ, აჯობა „კალიარის" — 1:0.

„ლაციო"	16	22:7	25
„ნაპოლი"	16	18:9	22
„იუვენტუსი"	16	25:15	21
„ფიორენტინა"	16	18:10	21

ბელგია

ბრიუსელის „ანდერლეჰტმა" სტუმრად ფრედ ითამაშა „სეს-ტრონთან" — 1:1.

„ანდერლეჰტი"	18	43:17	28
„ანტვერპენი"	18	29:17	23
„რასინგ ვიტი"	18	27:16	22

ესპანეთი

„ბარსელონამ" დაამარცხა ვიგოს „სელტა" — 5:2, „რეალ სარაგოსამ" სძლია ბარსელონის „ესპანიოლს" — 3:1, მადრიდის „ატლეტიკომ"—„ლას პალმასს" — 3:1, მადრიდის „რეალმა" კი სტუმრად მოუგო „მურსიას" — 1:0.

„ბარსელონა"	20	46:15	30
„რეალ სარაგოსა"	20	25:18	23
„მალაგა"	20	20:14	25

10 საუკეთესო მსაჯი

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა შარშანდელი სეზონის შედეგების მიხედვით დაამტკიცა 10 საუკეთესო მსაჯის სია. საუკეთესო არბიტრთა შორის არიან (ანბანის მიხედვით):

ტ. ბახრამოვი (ბაქო), ა. ივანოვი (ლენინგრადი), პ. კაზაკოვი, ვ. ლიპატოვი, ი. ლუკიანოვი (ყველა — მოსკოვი), ა. მილჩენკო (სოხუმი), ი. პონომარიოვი (კიშინოვი), ვ. რუდნევი, ი. სამუსენკოვი (ორივე — მოსკოვი), კ. ყრუაშვილი (თბილისი).

საწვრთნელი მატჩები

სოჩი. შავი ზღვის სანაპიროზე სავარჯიშოდ მყოფი უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდები შეუდგნენ საწვრთნელი მატჩების ჩატარებას. კიევის „დინამოსა" და დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0. მოსკოვის სპარტაკელებმა ძლიერად ითამაშეს შარშანდელ ჩემპიონთან და თასის მფლობელთან — ერევნის „არარატთან" და დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს — 3:0. თავი გამოიჩინა მირზოევმა, რომელმაც 2 ბურთი გაიტანა.

„სიჰაბუკის თასი"

წლეულს კვლავ ჩატარდება მოზარდ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშება (15-16 წლის ასაკში), რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადისა და სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" გუნდები.

დამტკიცდა ზონების შემადგენლობები. საქართველოს ნორჩი ფეხბურთელები I ზონაში იყოფიან ლიტვის, ლენინგრადის, აზერბაიჯანის, ესტონეთისა და სომხეთის გუნდებთან ერთად.

13 თებერვალს

თბილისში, საქართველოს სპორტკომიტეტის შენობაში (ჯაფარიძის ქ. № 4) გაიმართება საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის სხდომა. დასაწყისი 18 ს., 30 წ.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლენინი".

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50. რედაქტორის მოადგილე — 93-97-57. პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52. მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55. სპორტული განყოფილება — 99-56-47 93-97-53. ფეხბურთის განყოფილება—99-81-71, 93-97-56. ჭადრაკის განყოფილება—93-97-51. წრილების განყოფილება — 93-97-54. მემანქანეთა ბიურო — 93-97-59. ფოტოლაბორატორია—93-97-58 გამომწვევი—93-93-81 კორექტორები — 93-97-49.

მრავალმხრივი მარგრეტი

ახალგაზრდა ხელოვანი მარგრეტ დე ლა როშ-რენდელი მრავალმხრივი სპორტსმენიცაა. საბერძნეთში მან ყველა გააოცა წყლის თხილამურებით სრიალით, შვეიცარიაში ყველას აჯობა ყინულის ბილიკზე, ესპახეთში ზღვის სიღრმეში ყვინთავდა, ხოლო საბოლოოდ კი თავის სამშობლოში მოტოციკლით რბოლის კურსები გაიარა (იხ. სურათი, წინა პლანზე). 20 წლის მარგრეტი არა მარტო თანამედროვე, არამედ ჭეშმარიტად მამაცი ქალიცაა. საკმარისია ითქვას, რომ ორი წლის წინათ მან ველოსიპედით იმოგზაურა სამხრეთ აფრიკაში...

ნიშპათიური ლონდონელი ქალიშვილი სამ ენას ფლობს. ერთხახს მან ჰიპნოტიზორობა სცადა და გარკვეული წარმატებაც მოიპოვა, მაგრამ თაყვანისმცემელთა არმია მას ყველაზე მეტად იცნობს, როგორც მხატვარს. ამერიკული კრეისერით მოგზაურობის დროს სამი კვირის განმავლობაში მარგრეტმა 2000-ზე მეტი ჩანახატი გააკეთა აქედან 20 პროცენტი აკვარელითაა შესრულებული.

„სადაზვერვო საქმიანობის" მსხვერპლი

ეს ამბავი ლონდონში მოხდა. ცხენოსანთა ტრადიციული შეჯიბრება-დათვალიერების მონაწილე ტედ ედგარმა იფიქრა, გამოსვლის წინ ერთ 15 წუთს დავისვენებ, თვალს მოვ-ტყუებო, მაგრამ სურვილი სურვილად დარჩა. ყველას გასაკვირად, ტედი მალე იპოვა ბარკ სხითის ცხენმა შეხერიხგმა, რათა თავისი პატრონის მეტოქე ახლოდან კარგად დაეთვალიერებინა.

შეჯიბრებაში გაიმარჯვა სმითმა. ვინ იცის, იქნებ ამ გამარჯვებაში მენერინგის „სადაზვერვო საქმიანობასაც" მიუძღვის დამსახურება?

წიგნს თუ დაწერენ

ბ. ბრ-ს ნაკრების ცნობილმა მოთამაშეებმა — მცველმა ბრაიტნერმა და ნახევარმცველმა ჰიონესმა მოისურვეს წიგნის დაწერა მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე. ამ შეჯიბრების მონაწილეთა წიგნის გამოცემა, ცხადია, ბევრს უნდოდა, მაგრამ მომავალ ავტორებს წინ აღუდგა გფრ-ის ფეხბურთის ფედერაცია, რომლის აზრითაც (შესაძლოა, სავსებით სამართლიანადაც), ფეხბურთელებს წიგნის წერის გარეშეც ბევრი საქმე ექნებათ.

თუ ბრაიტნერი და ჰიონესი თავისას არ მოიშლიან, მათ „პირდებიან"... ნაკრებიდან გამოყვანას. ძნელია ამის შემდეგ წერის სურვილი შეინარჩუნო!

„საზღვარი რომ გაიხსნას"

მკითხველთა საინტერესო გამოკითხვა მოეწყო ამას წინათ იტალიაში. „1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ იტალიის საზღვარი რომ გაიხსნას უცხოელ ფეხბურთელთათვის (ახლა მათ იტალიურ კლუბებში თამაში აკრძალული აქვთ, იმათ გარდა, ვინც იტალიაში ამ კანონის გამოქვეყნებამდე გადმოვიდა), ვის მიიწვევდით პირველ რიგში?".

მკითხველების დიდმა უმრავლესობამ მიუთითა ახალგაზრდა არგენტინელ ფეხბურთელ ბრინდიზზე, რომელსაც დასავლეთ ევროპაში „ახალ დიდ სტეფანოს" უწოდებენ.

ბ. ბრემნერი: „მთლიანად, სრული ენერგიით"

ინგლისის ჩემპიონატის ლიდერ „ლიდს იუნაიტედის" ცნობილი „ვარსკვლავი" ბ. ბრემნერი აცხადებს, რომ სანამ პროფესიონალი ფეხბურთელია, თამაშს მთელ თავის ძალასა და ენერგიას შესწირავს. „მე მინდა ბოლომდე „ლიდს იუნაიტედში" დავრჩე, შემდეგ კი მენეჯერობას ვაპირებ". პრაღის „გოლს" მიაჩნია, რომ ბრემნერს შეუძლია შესანიშნავი სკოლა გაიაროს ისეთი გამოჩენილი სპეციალისტის ხელმძღვანელობით, როგორიცაა „ლიდს იუნაიტედის" მეთაჯერი დ. რივი.

ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ

ნიუ იორკი, 9 თებერვალი. „მედისონ სკვერ გარდენის" სარბიელზე მოეწყო მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება, სადაც ნაჩვენები იქნა სარეკორდო შედეგი. ოლიმპიურმა ჩემპიონმა რ. მილბერნმა (აშშ) 55 მ თარჯრბენში 6,8 აჩვენა და 0,2 წამით გაუმჯობესა მსოფლიო მიღწევა, რომელსაც იგი იყოფდა ფ. ზიბეკთან და რ. ბეგტესთან (ორივე — გდრ) ერთად. ეს იყო მილბერნის ბოლო გამოსვლა მოყვარულთა ასპარეზობაში. ამიერიდან ოლიმპიური ჩემპიონი შეუერთდება პროფესიულ „საერთაშორისო მძლეოსნურ ასოციაციას".

ინგლვუდი, 9 თებერვალი. აქ გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაში 15 წლის ამერიკელმა გოგონამ მ. დეკერმა 880 იარდის გარბენას 2.06,7 მოანდომა. ეს შედეგი ახალი მსოფლიო მიღწევაა დარბაზებისთვის.

ᲥᲔᲚᲘ

● **ლენინგრადი, 10 თებერვალი.** ხელბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი ტური დაუმარცხებლად ჩაატარეს სსრ კავშირის ჩემპიონებმა, კიევის „სპარტაკის" სპორტსმენებმა. მათ 18 ქულა მოაგროვეს ამდენივე შესაძლებლიდან. გათამაშების ცხრილში მეორე ადგილზეა ბაქოს სპორტსაქონლის ფაბრიკა (14 ქულა), მესამეზე — კაუნასის „ჟალგირისი" (12).

● **ლაიპციგი, 10 თებერვალი.** მოსკოვის ცსკა-ს ფრენბურთელ ვაჟთა გუნდმა გაიმარჯვა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ნახევარფინალურ ტურნირში. მოსკოველებმა ანგარიშით 3:1 (15.8, 8:15, 15.8, 15:4) დაამარცხეს „სკ-ლაიფციგი". ეს მარცხის ძიუნდავად, ცსკ-სთან ერთად ფინალში გერმანელი სპორტსმენებიც გავიდნენ.

ᲙᲐᲚᲗᲘᲡᲘ

ᲣᲧᲘᲜᲚᲖᲔ ᲪᲔᲙᲕᲐ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲔᲡ

**ქინე